# სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გამოწვევები რეფერირებაში ჩართულ13-18 წლის ასაკის მოზარდებთან მუშაობისას

**ნინო მელიქიძე**

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციალური სამუშაო

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, ასოცირებული პროფესორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი**

**2021**

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

*ნინო მელიქიძე*

*24/06/2021*

# აბსტრაქტი

წინარე ნაშრომი ეხება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ქ. თბილისის ბავშვზე ზრუნვისა და დაცვის განყოფილების სოციალური მუშაკების გამოწვევებს რეფერირებულ 13-18 წლის მოზარდებთან მუშაობისას. ნაშრომი ეყრდობა როგორც თეორიებზე დაფუძნებულ მოსაზრებებს, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივიკვლევის შედეგებს. მოზარდობის პერიოდს მუდმივად ახასიათებს ცვლიბებები, რაც ძირითადად გამოიხატება კონფლიქტებში ოჯახის წევრებთან, დამოუკიდებლობის და თავისუფლების სურვილში. სამწუხაროდ დღეს საქართველოში ჯერ კიდევ მშობლები არასწორ აღზრდის სტილს იყენებენ, ამიტომ ხშირია, როდესაც მოზარდები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან ან თავად არიან აგრესიულები გარშემო მყოფების მიმართ. ნაშრომში განხილულია რეფერირების მექანიზმის როლი არასრულწლოვნების დაცვის და მათი გაძლიერების სფეროში. კვლევის დროს გამოიკვეთა როგორ თანამშრომლობენ რეფერირებაში ჩართული უწყებები ერთმანეთთან არასრულწლოვნის ინტრესების დასაცავად და მათი სირთულეების დასაძლევად. კვლევამ შეისწავლა სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში შემოსული რეფერირებული მოზარდების შეემთხვევები, რომლის საფუძველზეც შემუშავდა სტატისტიკა, ასევე გამოიკვეთა სოციალური მუშაკების სირთულეები მოზარდებთან მუშაობისას.

**ძირითადი საძიეობო სიტყვები**-მოზარდი, რეფერირება, სოციალური მუშაკი

## Abstract

The present paper applies to the challenges when working with referred adolescents of 13-18 years olds for social workers of Tbilisi Child Care and Protection Department of the State Care Agency. The paper is founded on considerations based on theories, as well as the outcomes of international and local research.Adolescence is constantly characterized by changes, which are mainly manifested in conflicts with family members, the desire for independence and freedom.Unfortunately, today in Georgia parents still apply wrong upbringing methods so it is common for adults to be victims of violence or to be aggressive towards others.The paper discusses the role of the referral mechanism in the field of protection and empowering juveniles. The study revealed the partnership mechanism of agencies involved in referrals to protect juvenile interests and overcome their difficulties. The study examined the cases of adolescents referred to the State Care Agency, on the basis of which statistics were developed, as well as the difficulties of social workers in working with adolescents were determined.



**Keywords** - adolescent, referral, social worker.

# მადლობა

აღნიშნული ნაშრომის მომზადებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო ჩემაკადემიურხელმძღვანელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს შორენა საძაგლიშვილს, რომელიცაქტიურად იყო ჩართული კვლევის ყველა ეტაპზე, მაძლევდა უკუკავშირს და ძალისხმევას არ იშურებდა ჩემი ნაშრომის წარმატებისთვის.

მადლობა ასევე ყველა იმ პიროვნებას, რომელებმაც გამონახა დრო თავიანთი გადატვირთულობის მიუხედავადდა კვლევაში მიიღო მონაწილეობა.